შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. *გაასწორეთ* მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

უცხოეთში ქართველთა მწიგნობრული საქმიანობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი კერაა საბაწმინდის ლავრა. იგი მდებარეობს იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით. ლავრა V საუკუნის 20-ან წლებში დააარსა საბა განწმენდილმა გამოჩენილმა საეკლესიო მოღვაწემ. საბაწმინდის ლავრა მართლმადიდებლურ ქრისტიანობის ცნობილი ცენტრი იყო. საუკუნეების განმავლობაში აქ სდუღდა ბერ-მონაზვნური ცხოვრება. ლავრა წარმოადგენდა ძალუმ კულტურულ-საგანმანათლებლო კერას. ქართველები აქ ადრევე დამკვიდრებულან და 532 წლისთვის მათ თავიანთი ეკლესია ჰქონიათ, სადაც წირვა-ლოცვას ქართულად ააღვლენდნენ.

ქართველების მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა განსაკუთრებით ინტენსიური გახდა VIII–IX საუკუნეებში. შემუშავდა ბიბლიური წიგნების „საბაწმინდური“ რედაქცია განვითარდა ორიგინალური ჰიმნოგრაფია. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს X საუკუნის ცნობილი მწიგნობარის, იოანე-ზოსიმეს, მიერ შედგენილი კრებულები რომელშიც ნათლად ჩანს ეროვნული ტენდენციები. მეცნიერთა აზრით მასვე უნდა ეკუთვნოდეს თხზულება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ლიტერატურულ საქმიანობასთან ერთად, ბერების დიდი ჯგუფი ხელნაწერების გადაწერაზე, წიგნებად მომზადებასა და გამრავლებაზე მუშაობდნენ. ადრეული ქართული ხელნაწერების უმრავლესობა სწორედ აქ არის გადაწერილი. მათ შორისაა პირველი ქართული თარიღიანი ხელნაწერი სინური მრავალთავი.

საბაწმინდის ლავრაში შექმნილ ხელნაწერ წიგნებს ქართველი სასულიერო მოღვაწეები ავრცელებდენ არა მხოლოდ რეგიონში, არამედ მის გარეთაც კერძოდ, ტაო-კლარჯეთში ათონზე. საბაწმინდურმა ლიტერატურულმა ტრადიციებმა საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა ქართული მწერლობის განვითარებაზე.

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

არსებობს მოსაზრება, რომ საზოგადოების კარჩაკეტილობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეროვნულ თვითშეგნებას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ: თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

1.

ყურადღებით წაიკითხეთ გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“:

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლმორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის - გიმზერ,
ვჰსწუხვარ - და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..
ყვავილოვანი წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივმოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის
შავ დროთა ძალით, ფერ წახდენილი!..
და ვით განვლილსა
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნი!
ხნით დამაშვრალი,
დაღონებული,
შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედკრულს
შენს სატრფოს - მამულს,
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად.
შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის.
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლო მიწის სიყვარულითა! -
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა.
რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ,
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..
...მარამ ცად თვალნი
გაქვს მიქცეულნი,
და მე ვეღარ მცნობ გულშემუსვრილსა,
დამცირებულსა,
ხმამიღებულსა,
ბედდაკარგულის ივერიის ძეს!
ეჭვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ უიმედოს, გაუხარებელს!..

ვაჰ თუ რაც წახდეს
ვეღარა აღჰდგეს,
ვეღარ აღყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმან ყორანმა, ვით უმწე მსხვერპლი!
ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერუცვლელ?
დიდება ჩვენი,
ცად სხივმიმფენი,
ნუთუ ესღა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?
დაყრუებულსა,
გზა შეუვალსა,
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
დიდის თამარის,
სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

3. რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება მოცემული ლექსი?

ა) პოსტმოდერნიზმს.

ბ) რეალიზმს.

გ) რომანტიზმს.

დ) სიმბოლიზმს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

4. ვის (ან რას) მიემართება კონკრეტულად სიტყვები: „ვუმზერ კრძალვითა, თაყვანცემითა...“?

ა) ბეთანიის ეკლესიას.

ბ) თავდადებულ წინაპრებს.

გ) თამარ მეფეს.

დ) საქართველოს წარსულს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

5. ლექსის დასაწყისში რატომ არ სურს პოეტს გამოფხიზლება?

ა) არ სურს დაბეჩავებული აწმყოდან ოცნების სამყაროში დაბრუნება.

ბ) არ სურს ოცნების სამყაროდან დაბეჩავებულ აწმყოში დაბრუნება.

გ) გარდაუვალი სიკვდილის შიშითაა შეპყრობილი და ტკბილ წარსულში ყოფნა ურჩევნია.

დ) სამშობლოს განახლების იმედი გაუჩნდა და არ სურს მისი დაკარგვა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

6. ლექსის კონტექსტის მიხედვით, რა მხატვრული საშუალებაა: „განვლილსა სიზმარსა ტკბილსა...“?

ა) ალიტერაცია.

ბ) გაპიროვნება.

გ) მეტაფორა.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

7. **რას გამოხატავს სიტყვა** „მზე“ **სტრიქონში:** „მზეს დიდებულად ჩასვენებულსა“**?**

ა) ბრწყინვალე წარსულს.

ბ) თვალწარმტაც პეიზაჟს.

გ) მეგობართა ხსოვნას.

დ) ნათელ მომავალს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

8. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: „...სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნი!“?

ა) ადამიანმა სასჯელი მორჩილებით უნდა მიიღოს.

ბ) განრისხებული ღმერთი ქვეყნად არავის დაინდობს.

გ) ღვთისაგან განდგომამ საბოლოოდ არ დაგვღუპოს.

დ) ღვთის სასჯელისაგან ჩვენივე მორჩილება გვიხსნის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

9. **რას ნიშნავს სიტყვები** „ხნით დამაშვრალი“?

ა) ახალგაზრდას.

ბ) ბრძოლაში დამარცხებულს.

გ) მოხუცებულს.

დ) შრომით დაღლილს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

10. რას ევედრება „დაღონებული“ პოეტი თამარ მეფეს?

ა) საქართველოს ადრინდელი დიდების აღდგენას.

ბ) საქართველოს რუსეთის ბატონობისაგან დახსნას.

გ) საქართველოს ისტორიული მტრების განადგურებას.

დ) საქართველოს ისტორიული წარსულის განდიდებას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

11. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სტრიქონში: „სწავლისა შუქით განათებული“?

ა) გაპიროვნება.

ბ) მეტაფორა.

გ) შედარება.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

12. რა მიზანს ისახავს ავტორი ლექსში რუსთველის სახელის ხსენებით?

ა) დასცინოს თანამემამულეთა ამპარტავნობას.

ბ) გამოავლინოს მომავლისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

გ) გამოხატოს საქართველოს აღორძინების სურვილი.

დ) გამოხატოს წარსულით უკმაყოფილება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

13. ლირიკული გმირის რა სულიერი მდგომარეობაა გამოხატული ლექსის მონაკვეთში:

„და მე ვეღარ მცნობ გულშემუსვრილსა,
დამცირებულსა,
ხმამიღებულსა,
ზედდაკარგულის ივერიის ძეს!“?

ა) გულგრილობა.

ბ) იმედიანობა.

გ) მოწყენილობა.

დ) სასოწარკვეთა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

14. რას ნიშნავს სიტყვები: „უსასოდ ქმნილსა“?

ა) გადარჩენის მოიმედეს.

ბ) გულგრილად ქცეულს.

გ) უნუგეშოდ ქცეულს.

დ) ღრმად მორწმუნეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

15. რის სიმბოლო შეიძლება იყოს ლექსში ნახსენები შავი ყორანი?

ა) დაუნდობელი ბედისწერის.

ბ) ოჯახური ტრაგედიის.

გ) პოეტური შთაგონების.

დ) საყოველთაო უბედურების.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

16. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში: „დიდება ჩვენი, ცად სხივმიმფენი“**?**

ა) თანამედროვეთა საქმეების გმობას.

ბ) საქართველოს გმირულ წარსულს.

გ) საქართველოს ტრაგიკულ წარსულს.

დ) ღვთის მიმართ საყვედურს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

17. რის გამოხატვა სურს ავტორს სიტყვებით: „ნუთუ ესღა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა“?

ა) აღტაცების.

ბ) განრისხების.

გ) იმედგაცრუების.

დ) ოპტიმიზმის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ ასახავს ავტორი ისტორიულ ეპოქას (შეგიძლიათ გაითვალისწინოთ კონკრეტული ლიტერატურული მიმდინარეობის თავისებურებები);
- იმსჯელეთ ლირიკული გმირის სულიერი მდგომარეობის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

2.

ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტები სულხან-საბა ორბელიანის წიგნიდან „სიბრძნე სიცრუისა“:

მეფემან მოიყვანა ძე თვისი საყვარელი ჯუმბერ, მოსცა ხელთა და უთხრა: ეგე ორნივე - ღვთისათვის და ეგ შენდა შემომივედრებიაო!

მოახსენა ლეონ: - დღეს ვნახე ნიშანი წახდენისა ჩემისა. მე ძისა შენისა გაწრთნვა არ ძალმიც...

უბრძანა მეფემან: - არა ნდომითა ჩემითა არის, ბედისაგან მოცემული ხარო.

მოახსენა ლეონ: - ხელითწერილი მომეც ფიცისა, ვირემ ჩემი სიტყვა არ მოისმინო, სხვათა ენით არ მომაკვდინო.

მისცა მეფემან ხელითწერილი ფიცისა. წაიღო ლეონ საფიცარი იგი, მოჭედა ოქროთა და დაირჭო თავსა ზედა. აღაშენა სახლი სამეფო და ჯდა მუნ. დაუწყო ჯუმბერს წვრთნა და ასწავლიდა დღივ და ღამ. და მეფის წინაშე აღარ მიიყვანის ხშირად.

ნადიმად დაჯდა ლეონ. სამი დღე და ღამე წართვით სვა. ჯუმბერ მწდედ დაიყენა, არც დასვა და არც არა აჭამა. ფეხზე დგომითა და შიმშილითა ესრეთ უღონო იქმნა, ქვე დაეცა და შეწუხდა. მერმე უბრძანა დაჯდომა და ჭამა პურისა...

ლეონ ნადირობდა და ლხინობდა, არას ზრუნევდა. დღესა ერთსა წავიდა სანადიროდ. თვით თოხარიკსა ცხენსა შეჯდა. ჯუმბერს ხელთ ქორი შეუსვა, უცხენოდ წინ წაიმძღვანა, საღამომდინ არბენინა, ქორსა და ქორის ნაბულს ადევნა.

მეორე დღეს მწევრები მისცა ხელთა. მთათა და გორათა არბენინა. ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლმან დენა დაუწყო. მესამე დღეს შიკრიკად გამოიმძღვანა. მეტად დაშვრა, მალ-მალ დაეცემოდის, და არ მოეშვა. მანამდინ არბენინა, სადგომს მიიყვანა.

ესმა ესეცა რუქასა და შეასმინა მეფესა:

- ჩვენ, დიდნი და პატარანი, ყველანი დავყრუებულვართ, თვარემ რატომ არ გვესმის, ლამის იგი ყრმა მოკლასო?!

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

დღესა ერთსა ლეონ გაწყრა ცუდად, შეიპყრო ჯუმბერ უბრალოდ და ერგასი ჯოხი ჰკრა და დიდად ჰგვემა. სცნა რუქამან, მოვიდა განრისხებული... მეფეს ეგრე უთხრა:

- ღმერთს მრავლის ღონისძიებით ძე სთხოვე, მან წყალობა მოგივლინა. შენ მიეც ერთსა ღვთის წყრომით აღვსებულს კაცსა. შეუპყრია, ასი არგანი უკრავს, რა ბრალი ჰქონდა? ეგრე ავად არის, ღამემდინ სულს ვერ მიატანს. და ლეონ შენ ძედ ისვი და ჩვენად პატრონად.

მრავალი ეგევითარი საბუთი წართქვა, ვითა მტერთა წესია: რა დროს დაიცემს, მაშინ ეცდება მტრობასა.

მეფე ერთობ შეაჭირვა და დიდად განარისხა, რომე ცეცხლისა ალი მისის ჯავრის კვამლსა მიჰრიდებდა. მეტის გაშმაგებისაგან ძრწოდა. რუქა ცეცხლის გზებას უმატებდა და მრისხანე მეფემ... ლეონს კაცი გაუძახა და თრევით მოიღეს. მოკვლას ლამობდა. ეგრე კადრა ლეონ:

- ვერ მომკლავ, მეფეო, ვერა! აჰა, საფიცარი შენი, ამ დღისათვინ გამოგართვი, ამას ველოდი და ვიცოდი. მე ეს წინ მედვა. ვერ მომკლავ უსამართლოდ!

მოეხსენა მეფესა ფიცი და უთხრა რისხვით: - მოვედ და ვისამართლოთ!

ლეონ მოახსენა: - არა, ჯერეთ მოწყალებისა ქარითა მრისხანებისა ღველფი განაბნივე და სიტკბოსა წყლითა მისი ალი დაშრიტე, და მერმე მეტყოდე!

სიტყვასა მასა ზედა მოვიდა მეფე ცნობასა, დაწყნარდა და დამშვიდდა.

ლეონ მყოვარჟამ დადუმებითა იდგა. მერმე აუბნა თავისი ბულბულის უტკბესი ენა. ყოველსა კაცსა ასე ეგონა, პირსა იადონი უბუდებსო, ან მერცხალი ჭიკჭიკებსო. თუ რამ იცოდა, რაღას დღისთვის დაეჭირებოდა? მოახსენა:

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

- მეფეო, დიდად ვმადლობ გულისა შენისა სიმდოვრესა და შენსა ეგზომსა სულგრძელობასა. რაზომ აღგაშფოთა კაცობისა მარცხვენელმან და გაუკითხავად არ მამკალ! აწ ესე ბრძანოს მეფობამან თქვენმან: ძე შენი სამეფოდ გინდა, თუცა მწყემსად? მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა. მწყემსი ხამს ცხოვართათვის იჭირვოდეს, კეთილთა ბალახთა აძოოს, ამოდ ატაროს, დაკოდილი შეუხვიოს და მპარავს არიდოს. ესე თუცა ვერა ყოს, სამწყსო შეუმცირდეს, ეგრევე მეფე ესეთი ხამს: გლახაკთა, მონათა, გლეხთა, მსახურთა, აზნაურთა, თავადთა, დიდებულთა, მეფეთა და ხელმწიფეთა წესი, რიგი, შრომა, ჭირი, მუშაკობა, საქმე, ვაჭრობა, სმა-ჭამა და მიცემა იცოდეს. თუცა ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზედგომასა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს - აღდგება, უნებს - დაჯდება. მათი სამსახური ვითა სცნას, რას მიიჭირვებიან მისთვის? დღე-ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუცა შიმშილით არ მომყმარიყო, რამცა იცის, გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საჭმელი აკლს? იგი ყველას კეთილსა სჭამს და სვამს, არ მოიმშევს. არაკად თქმულა: მაძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედ დაჰყვედრიდა: რად ღორულად სჭამო! თუცა უცხენოდ სლვა და ფეხშიშველობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა სცნას, რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა, - იგი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს, გინა ეტლითა ვიდოდეს?

არგნის სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებრძანა ასისა და ორასისა არგნისა კვრა, სხვათათვის - მეტი და სხვათათვის - ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. აწ ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავებია და ამის შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისსა?

ნახა მეფემან და მოისმინა სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი. დიდად მოეწონა და შეინანა, რაცა ლეონისათვის ავი ექმნა. მოეხვია ყელსა: - რა ვყო, შვილო, მიმძიმს, ავთა კაცთა ენამან და შვილისა სიმწარემან აღმაშფოთა.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – **X.**

3. რას ნიშნავს მეფის სიტყვები: „ეგ შენდა შემომივედრებიაო“?

ა) შენთვის მიშვილებიაო.

ბ) შენთვის შემივედრებიაო.

გ) შენთვის ჩამიბარებიაო.

დ) შენთვის მიჩუქნიაო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

4. ლეონის რა განცდა ჩანს სიტყვებში: „დღეს ვნახე ნიშანი წახდენისა ჩემისა“?

ა) აღფრთოვანება.

ბ) სიხარული.

გ) შეშფოთება.

დ) სასოწარკვეთა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

5. რა მიზნით მოსთხოვა ლეონმა მეფეს „ხელითწერილი“?

ა) რათა მეფეს უხვად დაეჯილდოებინა.

ბ) რათა მეფის მრისხანებისაგან თავი დაეცვა.

გ) რათა მეფისათვის ტახტის წართმევა მოეხერხებინა.

დ) რათა მეფისათვის გასამრჯელო გამოეტყუებინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

6. კონკრეტულად რა აზრია გამოხატული სიტყვებში: „მისცა მეფემან ხელითწერილი ფიცისა“?

ა) დაავალა, ჯუმბერს აღზრდისას არაფერი უნდა დაუშავდესო.

ბ) დაემუქრა, როგორც არ უნდა მასიამოვნო, დაგსჯიო.

გ) აღუთქვა, შენი ახსნა-განმარტების გარეშე არ დაგსჯიო.

დ) დაჰპირდა, არავითარ შემთხვევაში არ დაგსჯიო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

7. რატომ „მოჭედა ოქროთა და დაირჭო თავსა ზედა“ **ლეონმა მეფის ხელწერილი?**

ა) ამ ხელწერილზე მომავალში მისი სიცოცხლე იყო დამოკიდებული.

ბ) ამ ხელწერილის საშუალებით იგი სამსახურში დაწინაურებას აპირებდა.

გ) ეს ხელწერილი მას საკუთარი შთამომავლებისთვის უნდა შეენახა.

დ) ეს ხელწერილი მას სხვებთან შედარებით უპირატესობას მიანიჭებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

8. **რას ნიშნავს სიტყვები:** „ჯუმბერ მწდედ დაიყენა“?

ა) საჭმელს აჭმევდა.

ბ) სუფრას აწყობინებდა.

გ) ღვინოს ასხმევინებდა.

დ) ღვინოს ასმევდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

9. **რას ნიშნავს სიტყვები:** „ფერხთსაცმელი გასცვივდა“?

ა) ფეხსაცმელი გამოიცვალა.

ბ) ფეხსაცმელი დაავიწყდა.

გ) ფეხსაცმელი დაეხა.

დ) ფეხსაცმელი დაესვარა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

10. რა „შეასმინა“ რუქამ მეფეს?

ა) აღმზრდელი ჯუმბერს წამებით კლავსო.

ბ) აღმზრდელი ჯუმბერის მიმართ ლმობიერიაო.

გ) აღმზრდელს ჯუმბერი არ უჯერებსო.

დ) აღმზრდელს ჯუმბერი სულ მიავიწყდაო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

11. ტექსტის რომელ მონაკვეთშია გამოყენებული მეტაფორა?

ა) „მრავალი ეგევითარი საბუთი წართქვა, ვითა მტერთა წესია“.

ბ) „ცეცხლისა ალი მისის ჯავრის კვამლსა მიჰრიდებდა“.

გ) „ფეხზე დგომითა და შიმშილითა ესრეთ უღონო იქმნა, ქვე დაეცა...“

დ) „ჯუმბერს ხელთ ქორი შეუსვა, უცხენოდ წინ წაიმძღვანა, საღამომდინ არბენინა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

12. რა აზრია გამოხატული სიტყვებში: „რუქა ცეცხლის გზებას უმატებდა“?

ა) რუქა მეფეს ამშვიდებდა.

ბ) რუქა მეფეს ეპირფერებოდა.

გ) რუქა მეფეს აქეზებდა.

დ) რუქა მეფეს განადიდებდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

13. რატომ ეუბნება ლეონი მეფეს: „აჰა, საფიცარი შენი, ამ დღისათვინ გამოგართვი“?

ა) ლეონი ატყუებს მეფეს და გამორჩენას ელის.

ბ) ლეონი წუხს, რომ დავალება ცუდად შეასრულა.

გ) ლეონი მიყენებული ტანჯვის გამო ებოდიშება.

დ) ლეონი ხელწერილით მიცემულ პირობას ახსენებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

14. რისკენ მოუწოდებს ლეონი მეფეს სიტყვებით: „მრისხანებისა ღველფი განაბნივე და სიტკბოსა წყლითა მისი ალი დაშრიტე“?

ა) განრისხებისკენ.

ბ) მიტევებისკენ.

გ) დამშვიდებისკენ.

დ) შურისძიებისკენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

15. რა მხატვრული საშუალებაა „უტკბესი ენა“?

ა) ეპითეტი.

ბ) გროტესკი.

გ) ირონია.

დ) გაპიროვნება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

16. რით გაამართლა ლეონმა აღზრდის საკუთარი მეთოდები?

ა) მეფეს მომხდურთა მოგერიება უნდა შეეძლოსო.

ბ) მეფეს ქვეშევრდომთა გასაჭირი უნდა ესმოდესო.

გ) მეფის მიმართ ქვეშევრდომებს მორიდება მართებთო.

დ) მეფის ნათქვამი დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდესო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

17. დავით გურამიშვილის რომელი კონკრეტული შეგონება შეესატყვისება ამ ტექსტის მთავარ სათქმელს?

ა) „ბრძენი სიტყვითა დარჩების, ოსტატი თავის ხელითა“.

ბ) „თქმულა სიბრძნესთან სიგიჟე, ვითა ცოცხალთან მკვდარია“.

გ) „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების!“

დ) „კარგს საქმეზედა მიბაძვა არა რა დასაძრახია“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ლეონის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ, როგორი უნდა იყოს, ავტორის აზრით, იდეალური მეფე;
- იმსჯელეთ, რა მხატვრული საშუალებებით არის რეალიზებული ამ ტექსტის მთავარი სათქმელი.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე